პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

25 ოქტომბერი
სამშაბათი

1905. ყველა ფაბრიკების და ქარხნების გაფიცვა პეტროგრადში. ხარკოვში, ქარხნებსა და უნივერსიტეტში მოხდა გრანდიოზული მიტინგები.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4; რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის და [illegible]
და ვიცემ სწერმიებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

რუსეთში, პოდოლის გუბერნიაში, საგანგებო კომისიამ უკანასკნელ ხანს გამოაშკარავა [illegible] კონტრ-რევოლუციონური შეთქმულება, [illegible] ზღვარ-გარეთულ ბანდებთან მჭიდრო [illegible].

პორტუგალიაში ჯარმა მთავრობა ჩამოაგდო; მთავრობის რამოდენიმე წევრი მოკლულია.

ზემო სილეზიაში მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებები გერმანელებსა და ფრანგ ჯარებს შორის.

№ 194 სამშაბათი, 25 ოქტომბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 25 ოქტომბერი, 1921 წ. № 194

საგარეო ვაჭრობა

სასურსათო კრიზისის მიერ შექმნილ პირობებში და განსაკუთრებით დღეს, როდესაც ნათლად გამოირკვა ყველასათვის შეუძლებლობა ჩვენი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკუთარი შინაური რესურსებით—საკითხი საგარეო ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ თანდათან ღებულობს გადამწყვეტ მნიშვნელობას როგორც ჩვენი ისე მეზობელ რესპუბლიკების მომარაგების საქმისთვის. ამას თავის დროზე მიაქცია ყურადღება როგორც ეკონომიურმა თათბირმა აგვისტოში, ისევე საოლქო პარტიულმა თათბირმა იმავე თვეში. ამ საკითხს ვერ აუვლის გვერდს, რასაკვირველია, ვერც სასურსათო ყრილობა კავკასიის რესპუბლიკების. უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი მუშაობის ამ დარგის შეგნებულია ყველა დაინტერესებული რესპუბლიკის მიერ. ცხადია მათთვისვე, რომ ჩვენი გარეთ გამოჩენა შეუთანხმებლად, ურთიერთშორის მეტოქეობით შეუკავშირებლად, მავნებელია ყველასათვის ერთად და რომ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს რესპუბლიკების გაერთიანებული გამოსვლა ამ საქმეში, რათა რაიმე რეალური შედეგები მივიღოთ. ეს აზრი იყო საფუძვლად გადაწყვეტილებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის ორგანოების ერთში გაერთიანების შესახებ. ეს ნიშნავდა იმას, რომ, ვინაიდან ჩვენ საგარეო ბაზარზე ხელცარიელი ვერ გავიდოდით, შეგვექმნა, შეგვეგროვებია გასატანათ გამოსადეგი, გასაცვლელად გამიზნული საქონელი საერთო ფონდში და გადაგვეცა ის გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის ორგანოსათვის, მაგრამ, მიუხედავად ასეთი გადაწყვეტილებისა, ეს საქმე ჯერ კიდევ ვერ გასცილებია, როგორც ამას მოითხოვს საზოგადო ინტერესები, ზოგად გადაწყვეტილების სფეროს ან-და ის განხორციელებულია მხოლოდ უმნიშვნელო მინიმუმის ფარგლებში შედარებით იმასთან, რაც გვჭირდება ჩვენ და როგორათაც უნდა მოხდეს ეს ჩვენი საჭიროების თუ არა სრულიად დასაკმაყოფილებლათ, მის შესამსუბუქებლათ მაინც. თანახმათ საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული ორგანოს კოლეგიის თავმჯდომარის მოხსენებისა სასურსათო ყრილობაზე თბილისში და საპარტიო მუშათა კონფერენციაზე ბაქოში, დაინტერესებულ მხარეებს არა თუ არ გადაუციათ ამ ორგანოს განკარგულებაში საჭირო ფონდი გასაცვლელი საქონლისა, არამედ არ მიუწოდებიათ ჯერ კიდევ სათანადო ცნობებიც კი მათი რესურსების შესახებ. წვრილმანი უთანხმოება და ერთნაირი „პარტიკულიარიზმი", რომელიც, როგორც ეტყობა, კიდევ დაუძლეველია, ხელს უშლის ამ დიდათ მნიშვნელოვანი საქმის წინ წაწევას და მისთვის ნორმალურ მუშაობას. ზედმეტია რეზოლუციების წერა და გადაწყვეტილების გამოტანა თუ ისინი მაინც კეთილ სურვილების სფეროდან ვერ დაეშვებიან ძირს და ხორცს ვერ შეასხამენ სინამდვილეში. ჩვენ ვიცით, რომ უკანასკნელი წლების განცალკევებული, ერთმანეთის მოწყვეტილი ცხოვრება ჩვენ მხარეში, დიდ სიძნელეს ქმნის გაერთიანებული, სრულიად შეთანხმებული მუშაობისათვის, მაგრამ ჩვენ ეს ვერ შეგვაჩერებს. ჩვენ შეჩვეული ვართ ყოველგვარ სიძნელეს და მის გადალახვას. ერთხელ და სამუდამოთ ჩვენ უნდა ამოვფხვრათ წყარო ამ წვრილმანი უთანხმოებისა და მოვახდინოთ „პარტიკულიარიზმის" ნაშთების ლიკვიდაცია რათა სიტყვა საქმით ვაქციოთ, საერთო რწმენის ეკონომიურ ნიადაგზე გაერთიანებისა და შეთანხმებული მოქმედების საჭიროების, მის აუცილებლობის შესახებ ხორცი შევასხათ და ფართო თავისუფალი ასპარეზი შევუქმნათ ერთობლივ საგარეო ვაჭრობას გაერთიანებული ორგანოს საშვალებით. ეს უნდა მოვახერხოთ ჩვენ საერთო ძალით, რომ თავი დავაღწიოთ სასურსათო კრიზისს და წინ წავსწიოთ ჩვენი რესპუბლიკების სამეურნეო აღორძინების საქმე.

პატარა შენიშვნები

პარტიული აღმშენებლობის ფორმები.

ფორმა პარტიული ორგანიზაციისა აბსოლუტური, ერთხელ და სამუდამოთ მოცემული რამ არ არის; იგი მეწყობილია კონკრეტიულ ისტორიულ პირობებში და ისაზღვრება ამ თუ იმ ხანის შინაარსის ხასიათით. ჩვენი პარტიის პრაქტიკამ იცის ორგანიზაციის ორი ძირითადი ფორმა, რომელიც შეეფარდება ორი, ურთიერთისაგან განსხვავებულ პერიოდს. ერთი ამ ფორმათაგანია ის ორგანიზაციული წყობა, რომელიც ჩვენმა პარტიამ შემოიღო ე. წ. სამხედრო კომუნიზმის ხანაში. იგი სამხედრო ხანამ წარმოშვა, როცა კომუნისტური პარტია გარშემორტყმული იყო ურიცხვი მტრებით და გაუწყვეტელ თავდასხმას განიცდიდა საგარეო თუ სამოქალაქო ომის სახით, რაც მას განადგურებით და მოსპობით ემუქრებოდა. ასეთ გარემოებაში პარტია იძულებული იყო, თავის მართალი საქმის დასაცავად და ბრძოლის მოსაგებად, სამხედრო ორგანიზაციას დამსგავსებოდა თავის შინა წყობილებაში. საომარ ბრძანებათა სისტემა გახდა მისი მმართველობის მეთოდი; ცენტრი ბრძანებს, და ეს ბრძანება ყველას მიერ უსიტყვოდ უნდა იქნას ასრულებული; მისი მიღება არ მიღება ვერ გახდება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების სჯაბაასის და დისკუსიის საგნად. ასეთი მეთოდი გულისხმობს ძალთა უფლების ცენტრალიზაციას; ამასთან დაკავშირებულია დანიშვნების წესი. აქ მიღწეულია გამარჯვებისათვის აუცილებელი ნებისყოფის და მოქმედების უდიდესი მთლიანობა, აგრეთვე დროის ეკონომიაც. მაგრამ ის მიუღებელია, როგორც მუდმივი ფორმა; მშვიდობიანი აღმშენებლობითი პერიოდს იგი სრულებით არ შეეფერება. ჩვეულებრივი დროისათვის მას აქვს რამოდენიმე უარყოფითი მხარე: ცენტრის გადამეტებული გაბატონება, ადგილობრივი თვითმოქმედების, თაოსნობის შეკვეცა, დანიშვნები და მასთან დაკავშირებული ნაკლები პასუხისმგებლობა და ბიუროკრატიზმის ზრდა. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ, რა წამს ქვეყანა საომარ ფრონტიდან აღმშენებლობითი მუშაობაზე გადავიდა, უარყო ის და ორგანიზაციული დემოკრატიზმის გზას დაადგა. ადგილობრივი ორგანიზაციების ფართო თვითმოქმედება, მათ მიერ საკითხების განხილვა და განსაზღვრული აზრის გამოტანა, არჩევნების თავიდან ბოლომდე მტკიცედ გატარება და დანიშვნების წესის გაუქმება, ამასთან დაკავშირებით არჩეულების მეტი პასუხისმგებლობა და ანგარიშ ვალდებულობა პარტიული მასსების წინაშე,—აი მთავარი ნიშანდობლივი პარტიული ორგანიზაციის სასურველი ფორმისა.

რა ნაირია პარტიული აღმშენებლობა ჩვენში, საქართველოში? მართალია, ჩვენში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ სამოქალაქო ომს ამ სიტყვის პირდაპირი, ფიზიკური მნიშვნელობით ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მრავალი მტერი იყო ჩასაფრებული, რომელიც ჩვენ წინააღმდეგობას სისტემატიურად უწყობდნენ და პირველ შემთხვევისთანავე აზად იყვნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართათ. მეორეს მხრივ, ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, მენშევიკების რეაქციების წყალობით, დანგრეული იყო, და მათი აღდგენა-მოწყობას დიდი დრო დასჭირდა; ამ მიმართულებით მუშაობა დღესაც არ დამთავრებულა. ამ ორმა გარემოებამ შეუშალა ჩვენში ხელი პარტიის შიგნით დემოკრატიზმის სავსებით განხორციელებას. საჭირო იყო პარტიული ცენტრის მაგარი ხელი, რომელიც მტრებს ჯიუტობას გასტეხდა, მშვიდობიანი აღმშენებლობის პირობებს შექმნიდა და, კერძოდ, პარტიულ მასსებს თავს მოუყრიდა და მტკიცე ორგანიზაციებში ჩამოაყალიბებდა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ერთგვარი თვითმოქმედებასთან ერთად აუცილებელი იყო ცენტრის მიერ ორგანიზაციის სამხედრო სისტემის ზოგიერთი ელემენტების გამოყენება.

ახლა ჩვენში პარტიის გენერალური გაწმენდა წარმოებს. მისი დასრულების შემდეგ, მოწვეული იქნება საერთო პარტიული ყრილობა რაც უკვე გადაწყვეტილია. ეს ყრილობა, სხვათაშორის, გამონახავს პარტიული აღმშენებლობის დღევანდელი მომენტისათვის შესაფერ ფორმას. ჩვენი აზრით, დღევანდელი ასე თუ ისე მშვიდობიანი პირობების დროს, მტკიცე ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების არსებობის დროს, ესაა დემოკრატიული ცენტრალიზმი. დანიშვნების წესის უკუგდება და არჩევნების პრინციპის დაცვა, იდეური ხელმძღვანელობა ცენტრის, შედარებითი დამოუკიდებლობა, ფართო თვით მოქმედება და თაოსნობა ადგილების,—ამ გზით უნდა წარემართოს ჩვენი პარტიული აღმშენებლობა. ამას მოითხოვს როგორც პროლეტარული დემოკრატიის პრინციპი, ისე მუშათა კლასის პოლიტიკური აღზრდის და გათვითცნობიერების ინტერესები.

ხუანჩხა.

ამხ. სანდრო მახარაძე

ერთი წლის წინეთ ჩრდილოეთ კავკასიის კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცა ამხ. სანდრო მახარაძე. საბჭოთა ხელისუფლების დამცველთა რაზმს გამოაკლდა ერთი საუკეთესო მებრძოლი, რევოლუციისათვის თავდადებული რაინდი. ჯერ კიდევ ქართველ მენშევიკების ბატონობის დროს ამხ. სანდრო აქტიურად ჩაება რევოლუციონურ მუშაობაში. ის იყო საუკეთესო სამხედრო ორგანიზატორი. სამეგრელოში სტიქიური აჯანყების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად ჩვენი პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის დადგენილებით ის გაიგზავნა ს. წალენჯიხაში, მან დავალება სწრაფად და საუკეთესოდ შეასრულა, ანარქიული ელემენტები გაფანტა და მოძალადე მენშევიკურ სატრაპებს პირისპირ წაუყენა ორგანიზაციულად მოწყობილი, თავისუფლებისათვის ამდგარი ხალხის მასსა. მენშევიკებმა ის დაატყვევეს და სიკვდილით დასჯას უპირებდნენ. მაგრამ, 7 თვის ციხეში ყოფნის შემდეგ ის ავადმყოფობის გამო პირობით გაათავისუფლეს. ამხ. სანდრომ გადასწყვიტა მებრძოლ საბჭოთა რუსეთში გამგზავრება. იქ ის წინამძღოლობდა წითელი ლაშქრის რაზმს კოლჩაკის წინააღმდეგ. კოლჩაკის დამარცხების შემდეგ ამხ. სანდრო დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ მალე ჩაუვარდა ხელში მენშევიკებს და მეტეხის ციხეში მოემწყვდა. 1920 წ. გაზაფხულს მან მოახერხა ამხ. ფილიპე მახარაძესთან, კოტე ცინცაძესთან და ლადო დუმბაძესთან ერთად ციხიდან გაქცევა და პარტიულ მუშაობაში ჩაება კვლავ. მაისის „ამბოხების" გამოცხადებისათანავე ის იძულებული შეიქნა მიეტოვებინა საქართველო, რადგან [illegible] მთავრობა მას ბრალს სდებდა იუნკერთა სასწავლებლის [illegible] განზრახვაში და „გასწორებით" ემუქრებოდა. ჩრდილოეთ კავკასიაში ამხ. სანდრომ დაიმსახურა ღირსეული წითელი მეომრის სახელი. ახალგაზრდული აღფრთოვანებით ის ყოველთვის მზად იყო კონტრ-რევოლუციურ ბანდებთან საბრძოლველათ. „ბურჟუების" შავ გმირებს მისი უშიშრობა და გადაწყვეტილი ჰქონდათ ჯოჯოხეთური განაჩენი მისთვის. როცა გასული წლის ენკენისთვეში ბაქოდან ბრუნდებოდნენ აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობიდან მესამე ინტერნაციონალის ხელმძღვანელები—ზინოვიევი, რადეკი და სხ., ბანდიტებმა სადგ. ნაურსკაიას მახლობლად რკინის გზის ლიანდაგი აჰყარეს და მრავალი კომუნიზმისათვის მებრძოლნი საფრთხეში ჩაავდეს. ამხ. სანდრო მყის გაჩნდა და ბანდა გაფანტა.

როცა მოზდოკის რაიონშიც გამოჩნდენ ბანდები, სანდრო თავისი რაზმით გაეშურა იქითკენ და რევოლუციური წესრიგი აღადგინა. მაგრამ ბრძოლაში დამარცხებულმა კონტრ-რევოლუციამ შესძლო მოღალატის შეპარება სანდროს რაზმში: 25 ოქტომბრის ღამეს სანდროს რაზმს დაესხა კაზაკების ბანდა. რაზმის ტყვიისმფრქვეველები, საითკენაც გაეშურა სანდრო, გაფუჭებული აღმოჩნდენ. სანდროს შეეძლო გაქცეულიყო და თავისთავის ეშველა, მაგრამ მან არ მიატოვა რაზმი, არ მიატოვა თავისი მეუღლე ამალია, რომელიც მისი თანამშრომელი და თანამებრძოლი იყო მუდამ. ბანდიტებმა ორივე აჰკუწეს ხმლებით და ხიშტებით.

კონტრ-რევოლუციამ შური იძია პიროვნებაზე, მაგრამ სამაგიეროთ, მშრომელთა კლასმა კონტრ-რევოლუცია სამუდამოთ დაასამარა, შური იძია მყვლეფელთა კლასზე.

ამხ. სანდრო ბრძოლაში დაეცა, თავისი ბრძოლით და თავისი სიკვდილით მან მოგვცა მაგალითი რევოლუციისათვის თავდადებული მუშაკისა. საუკეთესო ძეგლი მის ცივ სამარეზე არის მთელს კავკასიაში და ამიერ-კავკასიაში მოელვარე დროშა საბჭოთა ხელისუფლებისა.

ამ ხელისუფლებისათვის მებრძოლთა და დაღუპულთა რიცხვში ამხ. სანდრო მახარაძეს შესამჩნევი ადგილი უჭირავს და მისი ხსოვნა არ წაიშლება მშრომელთა გულსა და სულში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება.

მოსკოვი. 22 ოქტომბერი (რადიო). ეკონომიური პოლიტიკის ახალმა კურსმა საბჭოთა აღმშენებლობის ყოველ დარგში გამოიწვია წინანდელი მეთოდების გადასინჯვა. ადგილობრივად გატარებული მუშაობა წარმოებს ახალი სამეურნეო საფუძვლების ცხოვრებაში გასატარებლად. ამასთან ერთად ემჩნევა ერთგვარი გადახვევა, რომელიც აიხსნება საბჭოთა ხელისუფლების ახალი კურსის არა სწორი გაგებით. არიან რა გატაცებულნი სახელმწიფო მსახურობას და სამეურნეო ანგარიშის ფასიანობით, ცალკე საბჭოთა ორგანოები ხშირად სცილდებიან და ივიწყებენ მუშათა მასსების საჭიროებას, ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველს შეადგენს მთელი ყურადღების მიპყრობა ყველა საბჭოთა ორგანოების მიერ ჩვენს გაერთიანებულ მსხვილ მრეწველობაზე. ამიტომ, ერთი უმთავრესი მისი შემადგენელი ნაწილთაგანი უნდა იყოს მუშების ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების ყოველმხრივი გაუმჯობესება, ურომლისოდ წარმოუდგენელია შრომის ნაყოფიერების აწევა. მაგრამ ეს უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოების დადგენილებით პირველ ხარისხოვნად მიჩნეული მუშაობა ახლა უკან რიგშია დაწეული და ბევრ ადგილას საგრძნობლად ჩაქვდა. კერძო წარმოებათა ზრდასა და წვრილ ბურჟუაზიულ მიდრეკილებათა ზრდასთან დაკავშირებით მუშათა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელმა მუშაობამ უნდა მიიღოს უფრო მეტი საომარი ხასიათი, ვინემ წინედ. დეკრეტებმა არამც თუ უარყოფითი გავლენა არ უნდა იქონიონ სამრეწველო პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრებაზე, არამედ. პირიქით, მის გაუმჯობესებას ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი. ამიტომ ბოლო დროს შემჩნეული მოდუნება მუშათა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიების მოღვაწეობაში კვლავ უნდა შეიცვალოს ცხოველი მოქმედებით. კომისიები უფრო ხშირად უნდა იკრიბებოდნენ, თავის მუშაობაში უფრო და უფრო ჩააბან პროფკავშირების აპარატი და ყველა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები. არც ერთი საჭირბოროტო საკითხი მუშათა მოსახლეობის ცხოვრებიდან კომისიას არ უნდა გამორჩეს, კომისიებმა უნდა განიხილონ საკითხები ჯანმრთელობის დაცვისა ამბულატორიების და ექიმების წარმოებებზე მიმაგრების აზრით, კბილის ექ. მ.-ბ.ს დახმარების უკეთ მოწყობით, ბაგეთა მიმაგრებით, საექიმო საკონტროლო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებით, სანატორიებში ავადმყოფების განაწილების გზით და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შტატის შემცირებასთან დაკავშირებით ადგილ დაკარგულ უმუშევრების უზრუნველყოფას. უახლოეს დროში უნდა იქნეს მოგვარებული ბინის საკითხი კომუნა სახლების მოწყობის გზით წარმოებების ახლოს, ავეჯით და ელექტრონის განათებით მათი მომარაგებით, ყურადღება მიაქციეთ, რათა მუშებს მიეცეთ შეშის მჭრელები და იარაღები სათბობის თავის დროზე დასამზადებლად. აღმოუჩინეთ შემწეობა ადგილობრივ მუშათა კოოპერატივებს და მუშათა მომარაგებელ კომისიებს, ეცადეთ სასურსათო პროდუქტებით მათი მომარაგებას მათი უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის.

გამაუმჯობესებელმა კომისიებმა უნდა დაამყარონ მუდმივი და მჭიდრო კონტაქტი შრომის დაცვის და საკავშირო გაერთიანებათა განყოფილების მუშათა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ ქვე-განყოფილებასთან და მათი საშუალებით გაატარონ თავისი მუშაობა, კომისიების ყველაზე დიდი სამუშაო—ესაა დაუყონებლივი გამოხმაურება ყველა ადგილობრივ დიდ და წვრილ საკითხებზე, რომელნიც მუშებს აღელვებენ.

ამიტომ კომისიებმა დაკვირვებით უნდა ითვალისწინებდნენ მუშათა საჭიროებებს, გამოიწვიონ ფართო თაოსნობა თვით მუშების მხრივ, განავითარონ იგი და მისცენ შესაძლებლობა რეალური შედეგის მისაღწევად. მუშათა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი ცენტრალური კომისია მოგიწოდებთ თქვენ ენერგიული მუშაობისაკენ. ცენტრთან მუდმივ კავშირის დაცვისა და მისი წესიერი ინფორმაციისაკენ თქვენი მუშაობის და მიღწევათა შესახებ.

მუშათა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე შლიაპნიკოვი.

პასუხისმგებელი მდივანი ნაუმოვი.
1921 წ. 15 ოქტომბერი.
მოსკოვი—კრემლი.

კონტრ-რევოლუციონური შეთქმულების აღმოჩენა.

მოსკოვი. 24 ოქტომბერი, (რადიო). უკანასკნელ ხნის განმავლობაში პოდოლის გუბერნიის განსაკუთრებულმა კომისიამ აღმოაჩინა ხუთი კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაცია. ორგანიზაციებს კავშირი ჰქონდათ ბანდებთან, რომლებიც მოქმედებდნენ საზღვარ გარეთ. ორგანიზაციის წევრებს შორის არიან ყოფილი პეტლიურას მინისტრების რამოდენიმე ოჯახის წევრები. ორგანიზაციებში იპოვეს საყურადღებო დოკუმენტები, ასაფეთქებელი მასალა და იარაღი.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ომის ღირებულება.

ნაუენი. 24 ოქტომბერი, (რადიო). ამერიკელმა ეკონომისტმა მოგარდტმა გამოიანგარიშა, რომ უკანასკნელი ომი დაუჯდა ყველა ხალხებს 208 000 მილიონი დოლარი ე. ი. 20 ჯერ მეტი იმ ოქროზე, რომელიც ამოიღეს რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში. სპეციალურ-ფინანსიურ ამერიკულ პრესის აზრით, მოგარდტმა ნაკლები იანგარიშა რადგანაც ომი დაჯდა გაცილებით მეტი.

გერმანია.

მთავრობის კრიზისი გერმანიაში.

მოსკოვი. 21 ოქტომბერი, (რადიო), ზემო სილეზიის გერმანიიდან ჩამოშორებისა და ვისბადენის შეთანხმების გამო, ვირტის კაბინეტი უნდა გადადგეს. გერმანიის მთავრობის პრეზიდენტ-მინისტრათ განზრახულია კელნის ბურგომისტრი ცენტრის მემარჯვენე ფრთის დეპუტატი ადენაუერი, რომელიც ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ ფრაქციასთან სრულ კონტაქტშია.

უბადრუკი გამარჯვება.

მოსკოვი. 21 ოქტომბერი, (რადიო). ბერლინის საქალაქო საბჭოს არჩევნების ხმების დათვლის შემდეგ გამოირკვა, რომ ბურჟუაზიულმა პარტიებმა გაიმარჯვეს მხოლოდ 2 ხმით. კომუნისტებს ხმა მისცა 160,000 ამომრჩეველმა. კომუნისტური გაზეთი „როტე ფანე" აგონებს იმ საშიშროებაზე, რომელიც მოელის ამჟამად ბერლინის პროლეტარიატს, განსაკუთრებით ბინისა და სკოლების რეფორმების დარგებში. ბურჟუაზიის უბადრუკ გამარჯვება აიხსნება მიმდინარე პოლიტიკურ მომენტის თავისებურობით და სოციალ დემოკრატიის მუცელზე ხოხვით ბურჟუაზიის წინაშე.

რისთვის.

ბერლინი. 13 ოქტომბერი, (რადიო). გერმანიის კომუნისტური გაზეთი „წითელი დროშა" იტყობინება, რომ გერმანია აგზავნის რუმინეთში ვებერთელა ტრანსპორტებს ამუნიციით. ბევრი ამუნიცია იგზავნება გამბურგიდან რუმინიისათვის.

ინგლისი.

ინგლისის მდგომარეობა.

ლონდონი. 21 ოქტომბერი, (რადიო). ლოიდ ჯორჯმა განაცხადა ინგლისის კეთილ დღეობა დამოკიდებულია მისი ვაჭრობისა და მრეწველობის აღდგენაზე და საერთაშორისო ფინანსიურ მდგომარეობის გამოკეთებაზე. საერთაშორისო მდგომარეობა კი ისეთია, რომ არც ექსპორტს და არც იმპორტს არ შეუძლია აღადგინოს ნორმალური კურსი და ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა.

ბელგია.

განხეთქილება ბელგიის მთავრობაში.

ნაუენი. 21 ოქტომბერი, (რადიო) ამ უკანასკნელ ხანებში ბელგიის მთავრობაში ადგილი ქონდა განხეთქილებას, რომელიც გამოიწვია ბელგიის მთავრობის შემადგენლობიდან სოციალისტების წასვლით.

დანიაში.

უმუშევრობა დანიაში.

რომი. 18 ოქტომბერი, (რადიო) გასულ კვირის განმავლობაში უმუშევართა რიცხვმა დანიაში მიაღწია 65,000 კაცს.

ინგლისი.

1.750,000 უმუშევარი.

ნაუენი. 19 ოქტომბერი, (რადიო). ბრიტანიის პარლამენტის გახსნის დროს განაცხადეს, რომ უმუშევართა რიცხვი ინგლისში აღწევს 1.750 000 კაცს.

მაქსიმ გორკის ავადმყოფობა

ნაუენი. 22 ოქტომბერი (რადიო). გზაში ნაუჰეიმისაკენ მაქსიმ გორკი სერიოზულად ავათ გახდა აპენდიციტით.

პორტუგალია

რევოლუცია პორტუგალიაში

ნაუენი, 22 ოქტომბერი (რადიო). პორტუგალიის მთავრობა ჩამოგდებულია ჯარების მიერ. მთავრობის რამოდენიმე წევრები მოკლულია.

ბელგია

ბელგიის მთავრობის გადადგომა

მოსკოვი, 21 ოქტომბერი (რადიო) მთავრობის შემადგენლობიდან გადამდგარ სოციალისტი მინისტრის სოლიდარობისათვის, ბელგიის მთავრობის თავმჯდომარემ დასტოვა თავის პოსტი.

ოსმალეთი

დახმარება სომხეთს

ბათუმი 22 ოქტომბერი (ტელეგ.) ანგორიდან სომხეთში გააგზავნეს 17 ვაგონი სურსათით და საკლავით. ვაგონები მიემართება ერევანსა და ყარსში.

სასურსათო ყრილობა

რეზოლუციები

მომარაგების გეგმაზე.

მოისმინა რა კომისიის მოხსენება მომარაგების გეგმის საკითხის შესახებ, კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სასურსათო ყრილობა, ღებულობს მხედველობაში კავკასიის რესპუბლიკების და რ. ს. ფ. ს. რ.—სას, სახალხო სასურსათო კომისარიატების მოხსენებებს, აგრეთვე გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის კომისარიატისას სასურსათო რესურსების შესახებ მომავალ სასოფლო-სამეურნეო წლისათვის და ადგენს:

1) ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკათა გეგმები, რომელთა პროექტები განხილულია კომისიის მიერ, უნდა გადასინჯულ იქნეს მომარაგების სახალხო კომისარიატების მიერ და ხელახლად შედგენილნი, თანახმად ერთიანი პრინციპისა სასურსათო პოლიტიკის მთლიანობის მისაღწევად, მხოლოდ იმნაირ გამონაკლისებით, რომლებიც გამოწვეულნი არიან ყოველ რესპუბლიკის ყოფა-ცხოვრების თავისებურობით.

2) კავკასიის ყველა საბჭოთა რესპუბლიკების და აგრეთვე რ. ს. ფ. ს. რ. განსაზღვრულმა სასურსათო რესურსებმა დაგვარწმუნეს ამჟამად სურსათ სანოვაგის სრულად მიწოდების შეუძლებლობაში ყველა მოსამარაგებელ ჯგუფებისა და კატეგორიებისათვის.

ამისათვის საჭიროა:

ა) გატარებულ იქმნეს ცხოვრებაში მაქსიმალური შემცირება ამჟამად მოსამარაგებელ ჯგუფებისა და კატეგორიების, სახელმწიფო მომარაგებაზე მხოლოდ ისეთების დატოვებით, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანნი და საჭირონი არიან საბჭოთა აღმშენებლობისათვის და წარმოებითი ძალების აღდგენისათვის.

ბ) იმ ჯგუფების უზრუნველყოფა, რომლებიც რჩებიან სახელმწიფო მომარაგებაზე სასურსათო ულუფით იმ ფარგლებში, რომლებიც საჭიროა ნორმალურ შრომის უნარის აღდგენისთვის.

გ) მოსპობილ იქმნეს ყოველგვარი ჩარევა განაწილების საქმეში არა სასურსათო ორგანოებისა.

3) ხელმძღვანელობს რა ამ პრინციპებით, კომისია აუცილებელ საჭიროებათ სთვლის:

ა) იმ წარმოებათა მუშების, რომლებსაც აქვთ წმინდა ადგილობრივი მნიშვნელობა და არ აქვთ სახელმწიფო მრეწველობაში შესამჩნევი მნიშვნელობა—მომარაგებიდან მოხსნას.

ბ) მხოლოდ ის ბავშვები უნდა იქნენ მომარაგებულნი, რომლებიც არიან ჯანმრთელობის და განათლების სახალხო კომისარიატების განკარგულებაში. დანარჩენ ბავშვებიდან მხოლოდ ისინი—რომლებიც იმყოფებიან საბჭოთა მუშებისა და მოსამსახურეების ხარჯზე—ჩაირიცხონ ოჯახის წევრთა—ჯგუფში; ბავშვთა კვება, როგორც ამნაირი, მოიხსნას სასურსათო ორგანოებიდან.

გ) ოჯახების მოსამარაგებელ წევრთა რაოდენობა უნდა სასტიკად გადაისინჯოს და მომარაგებაზე დატოვოს ის პირნი, რომლებიც იმყოფებიან უშუალო ხარჯზე მუშა-მოსამსახურეებისა და არ აქვთ საკუთარი შემოსავალი; ოჯახის წევრთათვის ულუფების გამოსაანგარიშებლათ უნდა მიღებულ იქნეს ერთი სრული ძირითადი ულუფა ერთს მომარაგებულ მუშაზე ან მოსამსახურეზე.

ამასთანავე ოჯახის წევრთა ის პირები, რომლებიც ირიცხებიან გადიდებულ ან და დამკრავ ულუფაზე—მომარაგებულ იქმნენ საერთო ნორმით.

დ) წითელ არმიელთა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები მოიხსნას მომარაგებიდან.

ე) უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა მოსწავლეებისაგან—უნდა მომარაგებულ იქმნენ მხოლოდ ისინი, რომლებიც სწავლობენ საბჭოთა ან პროფესიონალურ ორგანიების მობილიზაციით, დანარჩენები კი უნდა მოხსნილ იქმნენ მომარაგებიდან.

ვ) სამოვლინებო ულუფა მოიხსნას.

ზ). სახლში ავადმყოფ მუშა მოსამსახურეების გაძლიერებული კვება მოიხსნას.

თ). მკვებავ დედების და ორსულ ქალების ულუფები მოიხსნას.

4. მომარაგებულ ჯგუფებს ულუფა უნდა მიეცეს სურსათით. კომუნალური კვება სასურსათო ორგანიზაციებიდან იხსნება. საზოგადო სასადილოები სრულიად გადადიან კოოპერაციისა და კოოპერატიულად მოწყობილ მუშა-მოსამსახურეების ჯგუფების ხელში, მხოლოდ ისე, რომ სასადილოები მოქმედებდნენ სამეურნეო თვითმოქმედების საფუძველზე.

5 ამნაირად სახელმწიფო მომარაგებაზე მოსილი ულუფით რჩებიან შემდეგი ჯგუფები:

ა) გაერთიანებულ წარმოებათა მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც ქვეყნის მრეწველობაში აქვთ საერთო მნიშვნელობა.

ბ) საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი.

გ) მათი ოჯახის წევრები, რომლებიც არ არიან ჩაბმულნი წარმოებაში და იმყოფებიან მათ ხარჯზე.

დ) მოზრდილი და ბავშვები, რომლებიც ინახებიან დახურულ დაწესებულებებში სახელმწიფოს ხარჯზე (შესახიზნ სახლებში, საბავშვო სახლებსა და ბაღებში, დაჭრილ-დასახიჩრებულთა სახლებში და სხვა).

ე) ავადმყოფები მუშა-მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებსაც ამარაგებს სახელმწიფო და კომუნალურსა და სახელმწიფო საავადმყოფოებში მყოფნი.

ვ) დაპატიმრებულნი (გამასწორებელ სახლებსა, იძულებითი სამუშაოზე და სხვ. ამგვარი), ამასთანავე უნდა მოეწყოს დამსჯელ გამასწორებელ დაწესებულებებში წარმოებანი, რომლებიც მოგვცემენ საშუალებას, ნაწილობრივ მაინც, ამ დაწესებულებათა შენახვისას.

ზ) უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა მოსწავლენი, რომელნიც სწავლობენ საბჭოთა ან პროფესიონალურ ორგანოების მობილიზაციით.

ქ) ცალკე რესპუბლიკების მილიცია, [illegible] რაზმები და საგანგებო კომისიის ნაწილები და სხვა, რომლებიც არ იმყოფებიან კავკასიის ცალკე ლაშქრის ხარჯზე, და ის პირნი, რომლებსაც ეძლევათ აკადემიური და საპასუხისმგებლო ულუფა.

6. რკინისგზელებიც შედიან მომარაგების გეგმაში შემდეგის პირობებით:

ა) პურის მხრივ—50 პროც. ეძლევა რ. ს. ფ. ს. რ., და დანარჩენს 50 პროც. აწვდიან მჭამელთა რიცხვის პროპორციონალურად, კავკასიის რესპუბლიკების სასურსათო კომისარიატები, გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის მიერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ხარჯზე შესყიდული საქონლით, ვალიუტისა და საქონლის გაცვლის ფონდების მიცემით და პურით.

ბ) ყველა სურსათი, საგარეო ვაჭრობის მიერ დამზადებული ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ხარჯით, ეძლევა „ცპო"-ს სასურსათო კომისარიატების საშუალებით ან და მისგან მიცემულ საბუთით.

გ) რკინისგზელთა მომარაგება ცნობილია პირველ რიგის საქმედ; ფაქტიური რიგები მყარდება ყოველ ცალკე შემთხვევაში მუშათა მომარაგების კომისიის მიერ.

დ) ამიერ-კავკასიის „ცპო"-ს სურსათის წესიერად განაწილებლად და საშუალებით „ცპო"-ც ღებულობენ საკომისიო ჯილდოს ცენტრალურ კავშირიდან, თუ მიღება დაგვიანდა, საჭირო ჯამი შეძლებისდა გვარად ეძლევათ სესხის სახით ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ რკინის გზების სამმართველოდან.

საგარეო ვაჭრობის შესახებ.

მოისმინა რა მოხსენება და იმსჯელა გაერთიანებულ ვაჭრობის მიზნების და მუშაობის შესახებ, კავკასიის რესპუბლიკების სასურსათო ყრილობა სცნობს, რომ:

1) გაერთიანება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობისა მოწყობის დარგში წარმოადგენს აუცილებლობას უცხო ბაზარზე შეთანხმებულ და ერთად გამოსვლისათვის, ურთიერთ მეტოქეობის თავიდან ასაცილებლად და ბაზარზე სასურველ მდგომარეობის შესაქმნელად.

ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიურ სამეურნეო დამოკიდებულებიდან, რომელშიაც იმყოფებიან ამ ქვეყნის რესპუბლიკები. ასეთი გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის ორგანოს მნიშვნელობა ნაწილობრივ მომარაგების საქმისათვის განისაზღვრება კავკასიის რესპუბლიკების სასურსათო დეფიციტით, რომელიც შეიძლება დაფარულ იქნეს გაერთიანებულ ვაჭრობის კომისარიატის მიერ უცხოეთში შესყიდული და დამზადებული საქონლით.

2) გაერთიანებულ ვაჭრობის მიზანშეწონილად მუშაობას აბრკოლებს უცხო ბაზრის არა სასურველი პირობები, რომლებიც ვერ გრძნობს მწვავეთ ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის ნედლი მასალის ნაკლებობას, მსოფლიო მრეწველობის საერთო კრიზისის გამო.

3) საგარეო ვაჭრობის მუშაობის წარმატება რამოდენადმე დამოკიდებულია იმ საქმიან კავშირზე, როგორც იგი დაიჭერს საბჭოთა რუსეთის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებთან უცხოეთში, ამიტომ ამ კავშირის მოგვარება და გაძლიერება გაერთიანებულ ვაჭრობისთვის ეკუთვნის ერთ-ერთ პირველ რიგის მიზანთაგანს.

4) საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა შეგროვდეს გაერთიანებულ ვაჭრობის განკარგულებაში ყველა სახის საექსპორტო ნედლი მასალა, რომელიც უკვე შეაგროვეს თავის ძალებით შეთანხმებულმა რესპუბლიკებმა. ყველა დაწესებულებების მუშაობა აღრიცხვისა, დამზადების და საექსპორტო ფონდის შეგროვების შესახებ უნდა აღიარებულ იქნას სახელმწიფოს განსაკუთრებულ მნიშვნელობის სამუშაოდ.

5) საგარეო ვაჭრობის შესახებ კავშირის პირობა უნდა გადაისინჯოს და იმ ნაწილში, რომელიც შეეხება დამზადებულ საგნების განაწილებას იქნას დამატება შეტანილი. უნდა იქმნას განმანაწილებელი ორგანო. თვით განაწილება საიმპორტო ფონდისა უნდა ხდებოდეს შეთანხმებულ რესპუბლიკათა შორის სათანადო საექსპორტო და სავალიუტო ფონდის მიხედვით, რომელიც არის მათგანვე შეტანილი.

6) ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის თანამედროვე მიმართულების დროს, რომლის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს სამეურნეო ერთეულებზე გადასვლა და რომლებიც მუშაობენ სამეურნეო ანგარიშების პრინციპებით, ამ ერთეულებს უნდა მიეცეთ სრული შესაძლებლობა გააძლიერონ თავიანთი რესურსები მათ მიერ შეკრებილ და დამზადებულ სავალიუტო ფონდის ნაწილის რეალიზაციის საშუალებით; ამ მიზნისათვის ყოველივე სამეურნეო ერთეულს უნდა ჰქონდეს მიკუთნებული განსაზღვრული ნაწილი მის ნაწარმოებთა ნაყოფისა.

კერძოთ კოოპერაციას მის საშუალებათა გასაძლიერებლად, უნდა ჰქონდეს მიცემული ფართო ინიციატივა და ასპარეზი საექსპორტო საქონლის დასამზადებლად და მის საზღვარ-გარეთ რეალიზაციისათვის. სასურსათო მოთხოვნილებათა განსაკუთრებულ შემთხვევაში, ცალკე რესპუბლიკებს, მათი სასურსათო კომისარიატების სახით ნება ეძლევათ თავიანთ ფონდების დამოუკიდებელი რეალიზაცია მოახდინონ სასურსათო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მთავრობების მიერ დამტკიცებულ მომარაგების გეგმის თანახმად.

7) მე 6 პუნქტში მოყვანილ პრინციპების მიზანშეწონილად გატარება შესაძლებელია მხოლოდ ყველა სამეურნეო ერთეულების საგარეო ვაჭრობის ერთ ორგანოში გაერთიანებით, რომელიც უნდა იყოს ხელმძღვანელი და რომელიც ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს, კერძოთ სასურსათო ორგანოების მოთხოვნილებებს.

8) საგარეო ვაჭრობა, აკმაყოფილებს რა მოთხოვნილებათა ინტერესებს მხოლოდ განსაკუთრებულ წესით, მთლიანად უნდა იყოს დაფუძნებული სამეურნეო ერთეულების მიერ დასახულ მიზნების უპირატესო-

ქართული სამხედრო სკოლა

ეუწყება რესპუბლიკის ყველა მშრომელთ, რომ თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე (ყოფ. გოლოვინის პროსპ., № 4) ვაჟთა ყოფილ პირველ გიმნაზიის შენობაში, მოთავსებულია ქართველ კურსანტების შეერთებული სამხედრო სკოლა (სამხედრო მეთაურთა კურსები ჯარის ყველა დარგისათვის). სკოლას მიზნად დასახული აქვს მომზადება იმ პირთა, რომელნიც დაინიშნებიან ოცის თავად ქვეითა, არტილერიის, ცხენოსან ანუ საინჟინერო სამწყობრო ნაწილებში. სკოლაში მიიღება განათლებით როგორც საზოგადო აგრეთვე სპეციალი (სხვა და სხვა ჯარის დარგისათვის) სამხედრო საქმეში შემდეგ განვითარებისათვის. სკოლა იყოფა ორ კურსად: უმცროსი და უფროსი. სკოლაში მოსწავლეები იმყოფებიან კურსანტებად და სარგებლობენ ყველა უფლებით: უმცროს კურსზე მყოფნი ათისთავის და უფროს კურსზე კი ოცის თავის თანამდებობისა.

სკოლაში მისვლა შეუძლიან ყველა მშრომელს არა ნაკლებ 18-სა და არა უმეტეს 28 წლისას, რომელნიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

უმცროს კურსზე მიიღებიან უმთავრესად პირველ დაწყებითი სკოლის არა ნაკლებ სამ კლას დამთავრებულნი, მხოლოდ პოლიტიკურად განსაკუთრებულ რეკომენდაციით აღჭურვილნი მიიღებიან უფრო ნაკლები ცოდნითაც. სპეციალურ განყოფილებებში (არტილერიის და საინჟინერო) მიიღებიან არა ნაკლებ საშუ. გიმნაზიის 4 კლასის ცოდნით. უფროს კურსზე მიიღებიან მხოლოდ ისინი ვინც გამოცდას ჩააბარებენ უმცროს კლასის კურსზე.

სკოლაში შესვლის მსურველთ განცხადებები უნდა შემოიტანონ სკოლის უფროსის სახელზე პირველ ნოემბრამდე. განცხადებასთან დართული უნდა იყოს: მიღებულ განათლების მოწმობა და პოლიტიკური კეთილსაიმედოობის მოწმობა, ან პარტიულ იაჩეიკის, ან რევკომის, ან პროფკავშირის ან და პარტიის ორი წევრის მიერ ხელმოწერილი სათანადო ბეჭდით დამოწმებული.

ჯარის ნაწილთა უფროსნი არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა გამოუგზავნიან სკოლის უფროსს იმ წითელ-არმიელთა სიას, რომელნიც აკმაყოფილებენ სკოლაში მიღების პირობებს. ასეთი პირნი უნდა გამოიგზავნონ სკოლაში პირველ ნოემბრისათვის.

ყველა შემსვლელი სკოლაში გაისინჯებიან ჯანმრთელობის მხრით, სამოსწავლო კომისიაში გამოცდების მხრით და სამანდატო კომისიაში პოლიტიკური მხრით. ყველა მიღებული სკოლაში ითვლება ნამდვილ სამხედრო სამსახურში. სკოლაში სწავლის ვადა ორი წელიწადი. სკოლაში ასწავლიან საზოგადო განათლების საგნებს, სპეციალ სამხედრო საგნებს და სამწყობრო მეცადინეობას. სწავლა სწარმოებს სახელმწიფო ხარჯზე. წარმატებით სწავლა დამთავრებული კურსანტები დაინიშნებიან ოცის თავის თანამდებობაზე სამწყობრო ნაწილში: ქვეითა, ცხენოსან, არტილერიის და საინჟინერო და მიიღებენ სახელმწიფოს ხარჯით სამხედრო მეთაურთათვის დაწესებულ სრულს კომპლექტს ტანსაცმელს, თეთრეულს, ფეხსაცმელს და იარაღს.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლების სამმართველო.

მით დაკმაყოფილებაზე, რომელიც მართლდება საგუბერნიო მიზანშეწონილობით და რომელსაც მიზნად აქვს საბჭოთა რესპუბლიკების წარმოებითი ძალების შემდეგი განვითარება და აღდგენა.

9) კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა და კერძოთ კი მათმა სასურსათო კომისარიატებმა უნდა განამტკიცონ უშუალო და დამოუკიდებელი საქმიანი კავშირი ურთიერთ შორის საბჭოთა რუსეთთან.

ლაშქრის მომარაგება.

მიიღებს რა კავკასიის ცალკე ლაშქრის სასურსათო სამმართველოს უფროსის მოხსენებას, კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სასურსათო ყრილობა ადგენს:

1) ყველა ჯარები, რომლებიც იმყოფებიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფარგლებში, კავკასიის ცალკე ლაშქარი და ეროვნული ჯარებიც, კმაყოფილდებიან ამიერ კავკასიის ცალკე ლაშქრის სასურსათო სამმართველოს საშუალებით.

2) დამოუკიდებელ რესპუბლიკების სასურსათო კომისარიატები იძლევიან კავკასიის ცალკე ლაშქრის სასურსათო სამმართველოს განკარგულებაში საჭირო სურსათის სათანადო რაოდენობას ან სათანადო კრედიტს მათ დასამზადებლად, რომელიც აუცილებელია ეროვნულ ჯარების შენახვისათვის.

3) ეროვნულ ლაშქრების სამხედრო-სასურსათო ორგანოები შედიან კავკასიის ცალკე ლაშქრის სასურსათო სამმართველოს საერთო სასურსათო ქსელში და მუშაობენ უკანასკნელის ჩვენების და დირექტივების მიხედვით.

4) სურსათის დამზადებას აწარმოებს ლაშქრის სასურსათო სამმართველო ლაშქრის ბინადრობის ფარგლებში სათანადო-სასურსათო კომისარიატების და კოოპერატიულ გაერთიანებათა საშუალებით; და ლაშქრის სასურსათო სამმართველო თვითონ ამზადებს იმ შემთხვევაში, თუ ცალკე კერძო შემთხვევაში სასურსათო კომისარიატი უარს იტყვის დამზადებაზე ან და წარუდგენს პირობას, უფრო ნაკლებ ხელსაყრელს, ვინემ კერძო პირი.

კოოპერაციაზე.

მიიღებს რა კოოპერაციის წარმომადგენელთა მოხსენებას, კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სასურსათო ყრილობა საჭიროდ სთვლის, ახალ სასურსათო-ეკონომიურ პოლიტიკასთან შეფარდებით, ამიერკავკასიის კოოპერაციას, მის მუშაობის გაძლიერების მიზნით, ყოველმხრივი დახმარება და გამოიყენოს იგი სასურსათო მიზნებისთვის, როგორც დამზადების, ისე განაწილების დარგში. ამავე დროს ყრილობა გამოსთქვამს სურვილს კოოპერაციის სამეურნეო-წარმოებითი თვითმოქმედების გაძლიერების შესახებ.

საქ. საჭარბოებლოდ დამშეულთა დასახმარებლად

დ. ჩხარი

29 სექტემბერს რაიპარტკომთან არსებულმა დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა გადასწყვიტა მოეწყო საჯარო მიტინგი და შემდეგ, კვირას, 2 ოქტომბერს გაემართა „დიდი სალამო“. კრებამ აირჩია ხელი შეეწყო მიტინგის გამართვას. დაესწრო 1500 სულამდი, უმრავლესობას შეადგენდა გლეხები. მიტინგი გახსნა რაიპარტკომის წევრმა და დამშეულთა დამხ. კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვარლამ თურქიაშვილმა. მან გააცნო ხალხს თუ რამ გამოიწვია ვოლგის ნაპირებში სიმშილი და როგორ უნდა გაუწიონ დახმარება. მათ იგივე გლეხებმა, თურქიაშვილის შემდეგ ილაპარაკა რაიპარტკომის წევრმა და ადგ. პროფკავშირის სეკრეტარიატის თავმჯდომარემ ამხ. ნიკოლოზ რობაქიძემ, რომელმაც მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას ვოლგის ნაპირის დამშეულთა დასახმარებლად. ბოლოს ილაპარაკა ადგ. თეატრის რეჟისორმა (ს.-ფედერალ.) ვალერიან ლოლაძემ, რომელმაც მოუწოდა გლეხებს დახმარებისაკენ შემძლებისდაგვარათ. ხალხი გულდასმით უსმენდა ყველა მოხსენებლებს. მიტინგი კარგათ ჩატარდა. ამ დღესვე მიტინგის შემდეგ მოგროვილ იქნა დახმარება ფულის სახით. იყო შემთხვევები, რომ ზოგიერთი გლეხები კითხულობდნენ, თუ ვინ არის, ან ვინ მიიღებს შეწირულობა-დახმარებას, ასე ამ რიგათ შეგროვილ ფულის ჯამი შესდგა 703,225 მანეთი.

კვირას, 2 ოქტომბერს გამართა „დიდი სალამო“. სასწავლებელში ხალხი დიდძალი დაესწრო.

დამშეულთა დამხმარე კომიტეტს, ამ სალამოს გამართვაში დიდ დახმარებას უწევდნენ ახალგ. კომკავშირის წევრები.

სალამომ დასტოვა წმინდა შემოსავალი: 1,304,850 მანეთი სულ მოგროვდა: 2,008,075 მან. ახლა მოთავალში დაიდგმება ადგ. თეატრში „მეგობრობა“, ამავე მიზნით, დამშეულთა სასარგებლოთ.

საჭიროა მეტი და მეტი აგიტაცია და კარგი ორატორები, რასაც ცენტრი და აგრეთვე სამაზრო ცენტრიც უნდა აქცევდეს ყურადღებას და უნდა აგზავნიდნენ თვეში ერთხელ მაინც ორატორებს, რაიონში მიტინგების და კრებების გასამართავათ, და მხოლოთ მაშინ, როცა გაიგებენ ჩვენი გლეხები, თუ რაშია საქმე ან რა არის საჭირო, მაშინ უფრო მეტი ენერგიით იქნება მათ მიერ გაწეული ყოველგვარი დახმარებაც.

მოუწოდებ დამშეულთა დამხ. კომიტეტს ჩხარის რაიონისას, კიდევ მეტი ენერგიით მოეკიდოს ხელი ამ საქმისათვის, რომ ხალხმაც შეიტანოს თავისი წვლილი ამ საერთო დახმარების საქმეში.

„დაინტერესებული“.

ქ რ ო ნ ი კ ა

→ სახელმწიფო გამომცემლობა. სახელმწიფო გამომცემლობას მოსდის მთელი რიგი სალიტერატურო გამოცემის შეკვეთისა, ოქტომბრის დღესასწაულის დღისა და საბჭოთა პროპაგანდისათვის. შეკვეთები სტამბაში ასრულებს სასწრაფოდ შესასრულებლათ. სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა რევოლუციის მოღვაწეობის სურათების მთელი სერიის გამოშვებას. უკვე დამზადებულია სურათები ამხ. ტროცკის, ზინოვიევის, მდივანის და მახარაძის. იბეჭდება სურათები 10 კომპლექტზე მეტი, თითო კომპლექტში 1000-1500 ეგზემპლიარია. ოქტომბრის დღესასწაულის მე 4-ე წლის თავის აღსანიშნავათ კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ განყოფილების მიერ გადაეგზავნება ყველა დივიზიებს და ცალკე არმიის ნაწილებს შემდეგი მასალები: „შრომის ტრიუმფი“ დადგმული ლეო გლებოვის მიერ, ორიგინალური ლექსები, ამხ. ზოდრეიცის სცენისთვის დამზადებული „4 წლის რევოლუცია“, კრებული „რევოლუციის სიმღერისა“ და სხვა. თფილისის სახალხო სახლში 6 ნოემბერს იქნება დადგმული პიესა „შრომის ტრიუმფი“, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა პროლეტარიატის დრამატიული წრეები და სტუდიის გუნდები.

→ ბორჯომის წყალი. ს. მ. ჯ. ს. პრეზიდიუმი აცხადებს, რომ ვისაც სურს მიიღოს ბორჯომის წყალი, შესაკვეთად უნდა მიმართონ ს. მ. ჯ. ს. მომარაგების საბჭოს. ფასები ბორჯომის წყალზე ბოთლებით შემდეგია: 1000 ბოთლამდი 7.500 მან. ბოთლი. 1000 ბოთლის ზევით 6,500 მან. ამ ფასებში შედის ქერქის [illegible]. იქვე იღებენ შეკვეთას [illegible] მეტი გაზზე, შემდეგი ფასებით: 10 კილო 150,000 მან. [illegible]. ამას გარდა მომარაგების საბჭოდან შეიძლება ბორჯომის პარკის ქარხანაში დამზადებულ ბოთლების შეძენა. ცნობების მიღება ფასების შესახებ შეიძლება მომარაგების საბჭოში.

→ ოქტომბრის დღესასწაულის გამოფენისათვის. ქალ. სტატისტიკური განყოფილება ამზადებს მომავალ გამოფენისათვის 40-მდე დიაგრამას და ქარტოგრამას, სადაც გამოხატული იქნება დაწვრილებით თბილისის ეკონომიური მდგომარეობა საბჭოთა მმართველობის 6 თვის განმავლობაში. ამ დიაგრამებში გამოხატული იქნება აგრეთვე ქალ. რევკომის ყველა განყოფილებათა მუშაობა და მისი ნაყოფი.

→ ქალაქის რევკომში. თფილისის ქალაქის რევკომის თავმჯდომარის ა. გეგეჭკორის ავად-სენაკის მაზრაში წასვლის გამო მის თანამდებობას დროებით შეასრულებს ამხ. ლ. [illegible].

→ სოციალური უზრუნველყოფა. შორაპნის მაზრის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება ყოველთვიურად 447 პენსიას აძლევს და აკმაყოფილებს 811 სულს, გარდა ამისა 22 წითელ არმიელ ოჯახს აძლევს ყოველთვიურ დახმარებას. მთელ მაზრაში გახსნილია სამი რაიონული პუნქტი: ქვიტირის, საჩხერის და ხარაგაულში.

— გორის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 1 ოქტომბრამდე გაცემულია ერთდროული დახმარების სახით 39 სულზე—1,635,000 მან. 10 სულის დასაკრძალავათ—400,000 მან., დაკმაყოფილებულ იქმნა 206 პენსიონერი, რომელთაც მიეცათ 3,187,250 მან., 22 წითელ არმიელის ოჯახს ეძლევა ფული და სურსათის ულუფა. მთელ მაზრაში გახსნილია 7 რაიონული პუნქტი. განზრახულია დავრდომილთა სახლი შრომის კოლონიის გახსნა ინვალიდთა და შრომის უნარ დაკარგულთათვის ფერმის მოწყობით.

— თფილისის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში ანგარიშებიდან როგორიცა სჩანს დახმარებისათვის კიდევ 220 მიუმართავს განცხადებით. აქედან დაკმაყოფილდება 190, პენსია დაენიშნა 178, 12 სული დავრდომილთა სახლში მოთავსდა, ხოლო 8 სულს უარი ეთქვა თხოვნაზე, როგორც არა გაჭირვებულს. მიზეზებში თუ რომ [illegible] აიძულებს დახმარების თხოვნას, პირველი ადგილი უჭირავს მოხუცებულობას—71, შემდეგ ქვრივობა (მცირეწლოვანი ბავშვებით) 63, შემდეგ ავადმყოფობა—41 და ბოლოს ფიზიკური ნაკლულოვანებანი და ომში დაჭრილები—3.

— ბათუმის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში 1 ოქტომბრის ითვლებოდა 1109 პენსიონერი და 284 წითელ არმიელის ოჯახი. დავრდომილთა სახლში 61 სული.

→ სრულიად საქართველოს მხატვრების გამოფენა. ექსპონატებს სურათების გამოფენისთვის იღებენ ყოველ დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე გამოფენის დარბაზებში—საქართველოს მუზეუმში, რუსთაველის პროსპექტი, სახალხო სახლის პირდაპირ ა.-წ. 4 ნოემბრამდე.

→ ცეცხლის მქრობელი კურსები. მთავარ კომუნალურ მეურნეობასთან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს პირველ ნოემბრიდან განზრახული აქვს გახსნას 2 ცეცხლის მქრობელი საინსტრუქტორო კურსები, რომელიც გამოიანგარიშებულია 100 კურსანტზე. ყველა სამაზრო რევკომებს წინადადება აქვთ მიცემული გამოგზავნონ კურსებზე ორი კაცი.

→ ეზოებიდან ნაგვის გაზიდვა. რადგანაც ბევრი სახლის პატრონი თავის ეზოს ნაგავს ყრის პირდაპირ ქუჩებზე და ნაწილი სულ არ ასუფთავებს ეზოებს, ამისთვის ქალაქ თფილისის რევკომის სანიტარულ ტექნიკური ნაწილის კომუნალურმა განყოფილებამ დაიწყო ნაგვის გატანა კერძო სახლის პატრონების ეზოებიდან განსაკუთრებული ფასით.

→ სამრეწველო დაწესებულებათა აღწერა. კოოპერატიულ ცენტრალურ [illegible] განყოფილებასთან არსებული მეურნეობის საბჭოთა [illegible] ყველა [illegible] არსებულ საბჭოთა სარეწვაო დაწესებულებების აღწერას. აღწერა დამთავრდება ორი კვირის განმავლობაში.

— **კომუნიზმის ანბანის შესასწავლი კურსები.** მიწათ-მოქმედების კომისარიატთან კომჯაჩეიკამ დაარსა კურსები კომისარიატის შენობაში, მსურველთათვის კომუნიზმის ანბანის შესასწავლათ. მეცადინეობა იწარმოებს ბუხარინის და პრეობრაჟენსკის „კომუნიზმის ანბანის“ და მის კომენტარიების მიხედვით. ლექციები იკითხება ორშაბათობით ამხ. [illegible] მიერ და ხუთშაბათობით ამხ. კლდიაშვილის მიერ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთა ყრილობა

ყრილობის გახსნა.

ყრილობას ხსნის შაბათს, 22 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. ქურულაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ ყრილობის მოწვევა კარგა ხანია იყო საჭირო, მაგრამ ზოგიერთი მიზეზებისა გამო დღემდე ვერ განხორციელდა ეს აზრი. ამ ყრილობამ ამხანაგებმა უნდა გაგვიზიარონ თავისი გამოცდილება, დაგვისახონ მათ მიერ განვლილი გზა და შეერთებული ძალით გავაძლიეროთ ინსპექცია, მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის ორგანო, მისი საქმიანი დღიდან.

პრეზიდიუმში არჩეულ არიან: სახალხო კომისარი ამხ. ქურულაშვილი (თავმჯდომარე), ამხ. რუსაძე (თბილისის საქალაქო ინსპექციის გამგე) და ამხ. [illegible] (რაიონული ინსპექციის გამგე) და მდივნებად: ამხ. ჯაფარიძე (რაჭის ინსპექციის გამგე) და ამხ. ლეკვეიშვილი (ცენტრალურ საჩივართა ბიუროს გამგის მოადგილე).

საპატიო თავმჯდომარეთ ერთი ხმით იქმნა არჩეული ამხ. სტალინი-ჯუღაშვილი, საბჭოთა რუსეთის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი.

ყრილობას ესალმებიან პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსაგან ამხ. ვაშაკიძე, კავკასიის ცალკე არმიის ინსპექციიდან ამხ. რიაბოვი და სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატიდან ამხ. ახვლედიანი. მისალმებულნი გამოსთქვამენ რწმენას, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია შესძლებს მიიზიდოს მშრომელთა ფართო მასა და გახდეს სახელმწიფო აპარატის გამწმენდელი მუშაობაში აქტიური მონაწილე.

მიღებულია წინადადება გაეგზავნოს ყრილობის სახელით მისასალმებელი დეპეშები საქართველოს რევკომს, ამხ. სტალინის ჯუღაშვილს, წითელ არმიას და ქართულ წითელ ლაშქარს.

რეგლამენტი და სხდომების წესრიგი წინასწარ შემუშავებული საორგანიზაციო კომისიის მიერ, მიღებულია მცირედი ცვლილებებით.

კრება დაიხურა საღამოს 7 საათზე ინტერნაციონალის სიმღერით.

ყრილობაზედ 34 დელეგატია.

მკითხველის წერილები

პარტიის გაჯანსაღებისათვის

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, როდესაც სახელმწიფოებრივი აპარატი ხელში აიღო მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და თანდათან ხალხი გამოჩნდა, რომ ახლად დამყარებულ წყობილების დამხობა არც ისე ადვილი იყო, როგორც ეს პირველ ხანებში ბევრს ეგონა, გამოტოვებულ მოწინააღმდეგე ყოველი მხრიდან მოაწყვეს გუშინდელი მტრები შიგ შემოსასვლელათ. აქ, რასაკვირველია, ბევრი ხიფათი ყოფილ სუფთა, რომლებმაც დაიწყეს რა შეხვედრა-ეპიზოდების გამოცდისათვის, გულწრფელათ მოისურვეს პროლეტარულ სახელმწიფოს აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღება. მაგრამ, სწორედ მათთან ერთად, პარტიაში შეიჭრნენ საგრძნობი რიცხვი, რომლებიდანაც ნაწილი ფიქრობდა, რომ თავის პირადი კეთილდღეობა უზრუნველი ეყო, თვისი წოდებრივი და ხილვად მოწყობილიყო და ხილვად აღურებულიყო თავის შეჯი სამეურნეოში. მეორე ნაწილი ერთგულება გამოცხადებდა სწორედ მაშინ, როდესაც გულში ნამდვილ შურის ძიების გრძნობა ატარებდა, სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში რითაც შეეძლო ძირს უთხრიდა მის სიმტკიცეს და ნიადაგს ამზადებდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაემხო მისთვის საძულველი და საშიში მშრომელთა ბატონობა. ეს ამბები ხდებოდა იმ ხანებში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება, და პარტიის მთელი ყურადღება მიმართული შინაურ და გარეშე ფრონტებზე ჰქონდა მიქცეული, ამ მომენტით ისარგებლეს სხვადასხვა ბნელი ყოფა-ქცევის, პირადი ანგარიშით დაინტერესებული და საერთოდ კაპიტალისტური წეს-წყობილებით გაზრდილი, საზოგადოების ფსკერზე მდგომმა ელემენტებმა და მოახერხეს ორმაგი პოლიტიკის წყალობით პარტიაში მაგრათ ფეხის მოკიდება. მას შემდეგ, რაც მუხანათი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც შიგნიდან გვიპირდებოდნენ მტერობას, მოვიცილეთ და გავსრისეთ შეურაცხყოფით, ჩვენ უმეტესათ პარტიაში დაგვრჩა მეორე კატეგორიის ხალხი, პირადი ინტერესებით შეპყრობილი. სწორედ ასეთებს შეაქვს პარტიაში საერთო დემორალიზაცია, ინტრიგანობა, შური, ხშირათ უადგილოთ კომუნისტის სახელით ყოყოჩობა, სიცრუე, ამხანაგებზე ზვიადი ცქერა, და დაბალ ჯურის ის დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც შეუფერებელია პარტიის კომუნისტურ რაინდს და მის თვის სოციალიზმის უმაღლესი მიზნებისათვის ბრძოლით.

კომუნისტური პარტია, მასიური პარტიაა, ის მშრომელ ხალხზე დგას და მისი მეგობრობის აზრი მით უფრო მტკიცე იქნება, რამდენადაც ის შესძლებს დაიცვას საკუთარი სისპეტაკე. ასეთ შემთხვევაში პარტია სჭირდება მაშინ, როდესაც მისი რიგები შემდგარი იქნება პატიოსანი, გულწრფელი, პირადი კეთილდღეობის უარმყოფელი და მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადებული ადამიანებისაგან. რასაკვირველია, ჩვენ რიგებს ბევრი სინდისიერი წევრი ჰყავს, ისინი უმრავლესობას შეადგენენ და უჩვენებენ პროლეტარულ სახელმწიფოს თავის ერთგულებას, მაგრამ კიდევ უფრო გაძლიერდება და საბოლოოთ დაიმკვიდრებს მშრომელთა ფართო მასების აბსოლუტურ ნდობას, თუ ის შეუბრალებლათ გასწმენდს თავის რიგებს მის წმინდა სახელის გამტეხ ბნელი ნაძირლებისაგან. კომუნისტის სახელი—ეს უდიდესი საპატიო სახელწოდებაა, რომლის მზგავსი რამ არ შეუქმნია ბურჟუაზიის გონებას, ვერც შექმნის და ცხადია, ასეთი დიდი სახელის ღირსების ღირსი უნდა იქნეს მხოლოთ რჩეული, სინდისიერი ადამიანი.

პარტიის სწორედ ზოლი, რომელიც ასე ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, მისი ორგანიზმი გასიებული, მაგრამ დაავადებული იყო მისთვის სრულიათ უცხო ელემენტების შემოსვლით, რომლებიც მთლიათ ხელს უშლიდენ მის ბუნებრივ განვითარებას და ამიტომ საჭირო გახდა რადიკალური ოპერაცია ორგანიზმის საბოლოოთ გაჯანსაღებისთვის.

ამიტომ დღეს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში ხდება პარტიის გენერალური გაწმენდა ასეთ ხორცმეტებისაგან, რომ გაწმენდილმა და გასპეტაკებულმა ერთხელ და სამუდამოთ მაგრათ ჩაკეტოს ასეთი პირებისათვის პარტიის კარები.

ანდრონა.

პარტიული ცხოვრება

სამტრედია - ხარაგაულიდან მუშაობა საქართველოში (სამაზრო პარტკომების ხარაგაული-საპროპაგანდო განყოფილებათა პირველი ყრილობა).

საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებები მოწყობილია ყველგან, ამასთან ჩვეულებრივად აგიტპროპების გამგეებად არიან კომიტეტის წევრები ყველგან, ახალქალაქის, ბათუმის, ბორჩალოს, გორის და იმერეთის მაზრების გამოკლებით.

ყველგან, გორის, ლეჩხუმის და თბილისის მაზრების გარდა, აგიტპროპების გამგეებს თავისი მუშაობა შეთავსებული აქვთ სხვა მუშაობასთან, რომელიც ხშირად უშუალოდ არ არის აგიტაციასთან დაკავშირებული (ბორჩალოს მაზრაში ქვეგანყოფილება სამოქალაქო განყოფილებაში, ზუგდიდისაში—საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ოზურგეთისაში—საინფორმაციო—სტატისტიკური გამგე, ფოთისა, ქუთაისისა, და დუშეთში—პასუხისმგებელი მდივანია, სიღნაღში—სამხედრო (ცენზორი, პოლიტკომი თამბაქოს ქარხანაში).

თითქმის ყოველგან აგიტპროპი არ არის რამე ქვეგანყოფილებებად დაყოფილი და მხოლოდ სამუშაოს ერთი კაცი აწარმოებს. ქვეგანყოფილებები არსებობენ მხოლოდ 4 მაზრაში (ბათუმის, ფოთის, სენაკის და ქ. თბილისში). ბიბლიოთეკები არის ყველგან; ყველა მაზრებში არსებობს მთელი რიგი ქოხ—სამკითხველოების, აგრეთვე აგიტპუნქტები და კლუბები. პარტკლუბები არსებობენ მხოლოდ ფოთში და ქალ. თბილისში—სამი. ორივე ქალაქში უკვე მიიღეს კურსანტების პირველ—გამოშვება და ახლა მათი რიცხვი უდრის ფოთში—78-ს და თბილისში—180 კაცს. ცენტრთან კავშირი სუსტია ყოველგან, გაზეთები რიგიანად არ მისდის ლიტერატურა, განსაკუთრებით ქართული, ძალიან ცოტაა.

მუშაობა მაზრებში.

ახალქალაქის მაზრა. მუშაობა წარმოებს წითელი ლაშქრის მუშაობასთან პერსონალურად მჭიდრო დაკავშირებით. სექტემბრის განმავლობაში ჩატარებულია 3 კამპანია—ერთეულის საკითხის, ვოლგის მხარის სიმშილობის და ნატურ გადასახადის შესახებ. გამართული იყო 42 მიტინგი, რომლებსაც დაესწრო 5.000 კაცზე მეტი, და 108 საერთო კრება (მონაწილეობდა 24.000 კაცამდე). ამ კამპანიების ჩასატარებლად მაზრა 6 ჯერ იქნა შემოვლილი.

ახალციხის მაზრა. იაჩეიკა—4 აა, თითოეულში საშუალოდ 8 კაცი ირიცხება. მეცადინეობას აწარმოებენ იაჩეიკის მომზადებული წევრები „კომუნიზმის ანბანი“-ს მიხედვით. კრებებს ესწრება 150—200 კაცამდე, კრებები უმთავრესად იმართება ქალაქში. კრებების საგანს შემდეგი თემები შეადგენდნენ: შაბათობა, მესამე კომინტერნი, 1 ლი მაისი; 26 მაისი; ერთეული საკითხი; სასურსათო გადასახადი. ორ კვირაში ერთხელ გამოდის გაზეთი თათრულ ენაზე: „დარიბითა ქრული“.

ბორჩალოს მაზრა. კომჯაჩეიკებში მუშაობა რეგულიარულად არ მიმდინარეობდა საყანე სამუშაოების გამო. ტარდებოდა კამპანიები, რომლებიც ცენტრის მიერ იყვნენ დანიშნული; იმართებოდა მიტინგებიც.

გორის მაზრა. კომჯაჩეიკებში მეცადინეობა არა რეგულიარულად წარმოებს. ტარდებოდა ყველა კამპანიები. ახლა სწარმოებს [illegible] მუშაობა „გლეხთა დახმარების კვირისათვის“.

დუშეთის მაზრა. ჩატარებულია კამპანიები სასურსათო გადასახადზე, ვოლგის მხარის სიმშილზე. მეცადინეობა კომჯაჩეიკებში რეგულიარულად მიმდინარეობს.

ზუგდიდის მაზრა. კომჯაჩეიკებში რეგულიარულ მეცადინეობას ადგილი არ ჰქონია. ჩატარებულ იქნა კამპანიები: ერთეული საკითხი, 1-ლი მაისი, 26 მაისი, კომინტერნი, პარტიის განმტკიცება, კავკასიის განსაკუთრებული ლაშქრის 3 წლისთავი, სასურსათო გადასახადი, კონტრ-რევოლუციის შესახებ, სიმშილი ვოლგის ნაპირზე.

ქუთაისის მაზრა. კომჯაჩეიკები ყოველ კვირაობით იკრიბებიან. მეცადინეობას სამი საათის განმავლობაში აწარმოებენ რეგულიარულად იაჩეიკების მიწვეული ამხანაგები. გატარებულია შემდეგი კამპანიები: ლენინის [illegible] წლისთავი, 1-ლი მაისი, 26 მაისი, კომინტერნი, საყოველთაო სწავლება, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, სასურსათო გადასახადი, კავკასიის განსაკუთრებული ლაშქრის სამი წლის თავი.

ლეჩხუმის მაზრა. კომჯაჩეიკებში რეგულიარული მეცადინეობა არ წარმოებს. ჩატარებულია კამპანიები: მიწის საკითხი, 1-ლი მაისი, 26 მაისი, სასურსათო გადასახადი, დამშეულთა დახმარება, კოოპერაციის [illegible] თითეული კამპანიის გამო გამართულ იქნა 9.14 მიტინგი.

ოზურგეთის მაზრა. გატარებულ იქნა კამპანიები: 3 კომინტერნი, კ. გ. ლაშქრის სამი წლის თავი, [illegible] და სასურსათო გადასახადი, თესვის კამპანია, დამშეულთა დახმარება, მიწის საკითხი. თითეულ კამპანიის შესრულებაზე 6-12 მიტინგამდე დაესწრო 9000-19000 კაცამდე. გამოცხადებულია გაზეთი: „ახალი ცურია“. კომჯაჩეიკებში [illegible] რეგულიარულ მეცადინეობას აწარმოებენ კვირაში ერთხელ, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში; გადიან „კომუნიზმის ანბანს“, მეცადინეობას ესწრება 800 კაცამდე.

ფოთის მაზრა. იაჩეიკებში მეცადინეობა რეგულიარულად მიმდინარეობს კვირაში ერთხელ, კვირაობით იმართება საერთო კრებები (პარტიული), ესწრება 300-400 ამხანაგი. ჩატარებულია 5 კამპანია: 1-ლი მაისი, 26 მაისი, 3 კომინტერნი, სასურსათო გადასახადი, დამშეულთა დახმარება, კ. გ. ლაშქრის 3 წლის თავი. კვირაში ორჯერ გამოდის გაზეთი ქართულ და რუსულ ენებზე: „მუშის ხმა“, ტირაჟი უდრის 200 ცალს თითეულ ენაზე.

თელავის მაზრა. ჩატარებულ იქნა კამპანიები: 1-ლი მაისი, მენშევიზმის დამარცხება, ანტანტა და საბჭოთა რესპუბლიკები, 26 მაისი, XI არმიის დღესასწაული, კ. ა. კავშირის დღე, დამშეულთა დახმარება, თესვის კამპანია, პარტიის გაწმენდა. თითეულ კამპანიის გამო მიტინგები 12 ადგილას იმართება. გამოდის გაზეთი ფურცელი: „წითელი მუშაკი“. კომჯაჩეიკებში მეცადინეობა რეგულიარულად წარმოებს კვირაში 3 ჯერ. ესწრება 80 კაცი, არჩევენ „კომუნიზმის ანბანს“.

სენაკის მაზრა. ჩატარებულია კამპანიები: თესვის 1-ლი მაისი, 26 მაისი, კომინტერნი, კ. გ. ლაშქრის სამი წლის თავი, ნატურ გადასახადი, სიმშილი ვოლგის ნაპირებზე, მეცადინეობა კომჯაჩეიკებში რეგულიარულად მიმდინარეობს, კვირაში 2 ჯერ, ხელმძღვანელობს იაჩეიკის მდივანი.

სიღნაღის მაზრა. ჩატარდა კამპანიები: მიწის კომისარიატის ორგანიზაცია (42 მიტინგი), 1-ლი მაისი, (18 მიტინგი), 26 მაისი (6 მიტინგი), 3 კომინტერნი (13 მიტინგი), სასურსათო გადასახადი (20 მიტინგი), სიმშილი ვოლგის მხარეში (15 კრება). იაჩეიკებში მეცადინეობა რეგულიარულად მიმდინარეობს—კვირაში ერთხელ, კრებებს ხელმძღვანელობენ მდივნები და მიწვეული ამხანაგები.

თბილისის მაზრა. ჩატარებულია კამპანიები: სასურსათო გადასახადი, დამშეულთა დახმარება პარტიის განმტკიცება, [illegible] გადასახადი, გლეხობისადმი დახმარება. კომჯაჩეიკებში რეგულიარული მეცადინეობა არ წარმოებს.

ქალ. თბილისი. იაჩეიკებში რეგულიარული მეცადინეობა წარმოებს. არსებობს სამი პარტ კლუბი. გამოშვებულია 90 კურსანტი. ახლა სკოლებში მეცადინეობს 180 ამხანაგი, პოლიტიკური კამპანიები ბევრია ჩატარებული. ლიტერატურა საკმაო რაოდენობით. არის ბიბლიოთეკა, ექსპედიცია. მუშაობა ენერგიულად წარმოებს. საგრძნობია ლექტორების და აგიტატორების ნაკლებობა.

ბათუმის მაზრა. აგიტპროპის მუშაობა უკანასკნელი თვეების განმავლობაში გამოცოცხლდა. წაკითხულ იქნა 23 მოხსენება, მოწყობილი 10 მიტინგი, 2 ლექცია, 3 წარმოდგენა-კონცერტი, 5 შაბათობა. პოლიტიკური კამპანიებიდან წარმატებით იქნა ჩატარებული: კ. გ. ლაშქრის 3 წლის თავი. ემზადებიან „გლეხთა დახმარების კვირისათვის“. საერთოდ პარტიული ცხოვრება ცხოველდება. გამომუშავებულია და ცხოვრებაში გატარებული აგიტ პროპის მუშაობის გეგმა. იწყობა საბჭოთა პარტიული სკოლა, რომელიც უახლოეს მომავალში შეუდგება მუშაობას.

შექმნილია კოლეგია ქალაქ განყოფილების პროფესიონალ, პოლიტგანათლების, ლაშქრის პოლიტ განყოფილების, კ. ა. კავშირის და ქალთა განყოფილების წარმომადგენელთაგან.

წარმოებითი პროპაგანდაში

საბჭოთა მუშაკთა კავშირში.

როგორც ამას სექციისთვის ანგარიშიდან, გამგეობას არ ჰქონია არც ერთი სხდომა. გამგეობის პრეზიდიუმს კი გაუმართავს სხდომა [illegible]. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც განიხილა პრეზიდიუმმა, ყოფილა საკითხი ხელფასების შემცირების შესახებ. ამასთანავე გამოირკვა, რომ პროექტი შტატების შემცირების შესახებ მზად არის და საჭიროა მხოლოდ რევკომის სანქცია.

საორგანიზაციო (საინსტრუქტორო) განყოფილებამ ადგილკომების სისუსტის გამო მთელი ყურადღება მათ გაძლიერებას მიაქცია და გამოკვლეულ იქნა ყველა ადგილკომი, ანკეტების საშუალებით, ეს გამოკვლევა [illegible] ადგილობრივ ინსტრუქტორებმა. ამ შედეგმა გამოარკვია ბევრი უვარგისი ადგილკომები. ადგილკომთა უმეტესობა მომარაგებას აწარმოებს. უმოქმედო ადგილკომები სავსებით გამოსწორებულ იქმნა, ასე მაგალითად სამი თვის განმავლობაში 82 ადგილკომიდგან გაუქმებულ იქნა 20. საორგანიზაციო განყოფილებამ გადასწყვიტა შეერთოს იმ დაწესებულებათა ადგილკომები, რომელთაც ერთგვარი პუნქტები აქვს.

ეკონომიური განყოფილება.

შტატების შემცირების გარშემო გამოკვლეულია 27 დაწესებულება, რომლებშიაც შტატი შემცირებულ იქნა 40—60 პროცენტით. განყოფილების ინიციატივით საქ. პროფკავშირთა საბჭომ დაამტკიცა დებულებები საშტატო კომისიების შესახებ, რომელთა ორგანოები ხელმძღვანელობდნენ შტატების შემცირებას ყველა საბჭოთა დაწესებულებებში.

მუშა ძალის აღრიცხვის ქვეგანყოფილებების მუშაობა ძლიერ ნაყოფიერად მიმდინარეობს. შემოდის ბევრი მოთხოვნილება სამუშაოზე რომელიც კმაყოფილდება. მოხდენილი იქმნა ბანკების ხელმძღვანელთა დათვალიერება და დათხოვნილ იქმნა სამუშაოდან 35 თანამშრომელი, საიდანაც 30 გადაზავნა სხვა და სხვა დაწესებულებებში. ქვეგანყოფილებასთან არსებობს გამომცდელი კომისია, რომელსაც ჰქონდა სხდომა 8 ჯერ. კომისიაში გაიარა 121 [illegible], საიდანაც 59 დაიჭირეს გამოცდა, ყველა, ვინც ვერ დაიჭირა გამოცდა, გადაზავნილია ფიზიკურ სამუშაოზე. უნდა აღინიშნოს, რომ გამომცდელი კომისია სცვლის სპეციალობის კვალიფიკაციას.

მომარაგების ქვეგანყოფილება.

კავშირს სოც. კულტურის კავშირთან ერთად მიცემული აქვს 8 დღე. [illegible] მუშათა მოსწავლეებისთვის. ყურადღება მიქცეული სათანადო მასალით თვით მომარაგებისთვის. ამორჩეული იქმნება სპეციალური კომისია, კავშირის წევრთა მობილიზაციისა და [illegible] მუშაობის ხელმძღვანელობისთვის. მიღებულია და გამოყენებულია [illegible].

სატარიფო-ხელფასთა განყოფილება.

მუშაობა სწარმოებდა მაზრებში ტარიფის გატარებისთვის. ნაღდ მუშაობაზე გადაყვანა ძნელია კანცელარიული სამუშაოს გასაზომის გამო, გარდა მემანქანეებისა, რომელთაც უკვე შრომა ეზღაურებათ ნამუშევარის მიხედვით. პრემიალური სისტემის გატარება დაკავშირებულია შტატების შემცირებასთან.

კულტურული განყოფილება.

გახსნილია სამი საღამოს კურსი, რომელშიაც დაირიცხა 72 კაცი. 2 [illegible] პუნქტი, 4 სამკითხველო, [illegible] მანქანაზე წერის და სტენოგრაფიის სასწავლოთ 80 კაცისთვის. მუშების 30 [illegible] გაგზავნილია საბავშვო მოედნებზე და სასადილოებში მოწყობილი იყო ორი კონცერტი-მიტინგი და 4 ექსკურსია ბორჯომში და ბათომში.

მბეჭდავთა კავშირში.

მბეჭდავთა კავშირის მოქმედების ანგარიშიდან სექტემბრის განმავლობაში სჩანს, რომ ძველ გამგეობას ჰქონია ერთი სხდომა, რომელზედაც გარჩეული იყო საკითხები უშუალოთ დამოკიდებული მბეჭდავთა ყრილობის მოწყობასთან. ყრილობის მოსამზადებლად წარმოებულმა მუშაობამ კარგად ჩაიარა. ყრილობამ, რომელიც გახსნილი იყო 15 სექტემბერს, დაესწრო 58 დელეგატი, როგორც თფილისიდან ისე პროვინციიდან. ყრილობა გაგრძელდა სამ დღეს, და დამთავრდა ახალი გამგეობის არჩევნებით. ახალმა გამგეობამ თავის პირველ სხდომაზე ამოირჩია პრეზიდიუმი და მოაწყო ყველა განყოფილებები. ახალმა პრეზიდიუმმა სამ თვის განმავლობაში გაარჩია საკითხები უმთავრესად ორგანიზაციული ხასიათის და ის საკითხები, რომელიც ეხება მუშათა მომარაგებას (შესყიდვა სურსათ-სანოვაგის, ფეხსაცმელების განაწილების და სხვა). საორგანიზაციო განყოფილებამ უმთავრესათ იმუშავა ადგილკომების დათვალიერებაზე და მათთვის ინსტრუქციის მიცემაზე, როგორც ცნობილია, ადგილკომები კავშირის დაწესებულებებში უმოქმედობას იჩენენ: არა გზავნიან ცნობებს, ოქმებს და სხვას, რის მიზეზით არის, რომ ხშირათ მცოდნე და მოღვაწეები იგზავნებიან ადგილებიდან სხვა ადგილებზე. საორგანიზაციო განყოფილებამ დაინახა რა, რომ შეუძლებელია საქმის ასე გაგრძელება, მიაღწია ადგილკომის უმოქმედო წევრების მაგიერ სხვების არჩევნება. ზოგ ახალი არჩევნები მოხდება ახლო მომავალში. არჩეულია ერთი ახალი ადგილკომი. სულ პირველ ოქტომბრისათვის იყო ერთი ადგილკომი. ეკონომიურ განყოფილებას საანგარიშო თვეში არაფერი გაუკეთებია.

სატარიფო-სანორმო განყოფილებამ გაატარა ცხოვრებაში მტკიცე ტარიფი 23 წარმოებაში ათასი წევრისთვის. შრომის ანაზღაურება პრემიალური სისტემით შემოღებულია ყველა 23 წარმოებაში. პრემიალური სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით შრომის ნაყოფიერებამ აიწია საერთოთ 100 პროც.

სამინაო განყოფილებამ ბევრი იმუშავა პოლიგრაფიულ მუშათა პირველი სახლის მოწყობისთვის. ამას გარდა განთავისუფლებული იქნა სხვა სახლები, სადაც ჩასახლდეს მუშების 11 ოჯახი. შრომის დაცვის განყოფილება კავშირთან არ არსებობს, ადგილობრივათ უჯრედები (იაჩეიკები) მუშაობენ დამოუკიდებლად.

ს ო ფ ლ ა დ

ამ სათაურით გაზ. „ტრიბუნა“-ს მე-53 ნომერში მოთავსებულია გ. მუშიშვილის წერილი. ჩვენ არა ერთხელ გვქონია საუბარი მკითხველთან იმ პროვოკაციული პოლიტიკის გამო, რასაც ქართველი მენშევიკები ეწევიან თავის ხელობით. გ. მუშიშვილის წერილში თავმოყრილია მენშევიკების საპროვოკაციო იარაღი. ჩვენთვის ახალია, და ამხანაგების ყურადღებასაც მივაქცევთ, პროვოკაციის ერთი ფორმა: ცხოვრების [illegible] მენშევიკები გლეხობას უხატავენ ნ. ჟორდანიას [illegible]—ეს [illegible] საქართველოში დატვირთულ გემებს!

აი გ. მუშიშვილის წერილიც:

„ახალი რევოლუციონურ პროპაგანდისთვის დღეს სოფელი შედარებით ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენს, ვინ გაყოფილ არ [illegible] სოფელს, არ [illegible] გლეხების ქონება და არ აგრძნობინოს თავის [illegible] ხელისუფლების და სახელმწიფოებრივ სისტემის წინააღმდეგ [illegible], აღვირახსნილი, [illegible] და განსაკუთრებით—[illegible]. აი ის ხალხი, რომელიც „[illegible]“ სოფლებში, პროვოკაციებში. [illegible] ხალხი ქალაქიდან, [illegible] სოფლისა და მისი [illegible], მაგრამ, სამწუხაროდ, არ შეიძლება ასე ითქვას იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე [illegible] საპროვოკაციო [illegible]. [illegible] პროვოკაციის სოფლად დიდი, ჯერ არ ყოფილა [illegible].

[illegible] საპროვოკაციო მასალა [illegible]—ნატურალური გადასახადი. სწორედ ამ [illegible] ისინი და, უნდა ითქვას, მიზანსაც აღწევენ. [illegible] გლეხობისთვის ცნობილია [illegible] გადასახადი, [illegible].

თანამედროვე გადასახადების ახალი ფორმა და შინაარსი [illegible] იმით [illegible] რომ იგი გატარებულია [illegible] ცხოვრების ყოველ დარგში, როგორც [illegible], ისე [illegible] და [illegible]. კანონის განსაზღვრით, [illegible] გლეხობის [illegible] თავისუფალია ნატურალური გადასახადისაგან. ასეთი გადასახადი აწყება [illegible] „[illegible]“, გლეხობის [illegible] ნაწილს, ანუ, როგორც ეკონომისტები იტყვიან—სოფლის [illegible].

სამწუხაროდ, ულარიბეს გლეხსაც კი [illegible] ეს პროვოკაცია აქვს წარმოდგენილი. მას გონია, რომ გადასახადი უნდა გადაიხადოს [illegible] და [illegible], როგორც იხდის სოფლის ჩარჩი, სპეკულიანტი. განა შეიძლება სხვანაირად აზროვნებდეს გლეხი, როდესაც დეკრეტს მოწინააღმდეგე უკეთებს კომენტარიებს, ახსნა-განმარტებას? განა შესაძლოა დაუშვათ, საწყალი გლეხი აღფრთოვანებული იყოს რევოლუციის სიდიადით, როდესაც მას ყურში და [illegible], ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ჩაჩიჩინებენ, რევოლუციამ დაგვღუპა! გაგვაღატაკა, გაგვაობრა! აი როგორ უხსნიან ნატურალური გადასახადების შესახებ დეკრეტებს გლეხობას: შენ გაქვს სამი [illegible] მიწა? მაშ 30 ფუთი მიართვი „ნარკომპრომს“. გყავს მეწველი ძროხა, კამეჩი ან თხა? მაშ [illegible] ყველი [illegible] ყოველ თვეში. გყავს [illegible] კამეჩი ან ხარი? მაშ 15 გირვანქა ხორცი იხადე ყოველ თვეში. გყავს ღორი? მაშასადამე, სამ სამი გირვანქით გაუმასპინძლდი ყოველ [illegible] თვეში შენს რევკომს, და ა. შ. და ა. შ. რა გზა აქვს წელში მოხრილ გლეხს, ანბანის არ მცოდნეს, რომ არ ირწმუნოს, არ დაიჯეროს ყოველი „ქადაგის“ სიტყვები. დიახ, დღესაც ჯერ კიდევ გლეხთა მენშევიკურ „კულტურის“ გავლენის ქვეშ იმყოფება.

ნატურალური გადასახადების მთავარ საპროვოკაციო მასალად გამოყენების გარდა რევოლუციისა და სოციალიზმის მტრების ხელში არის კიდევ [illegible] სხვა, მეორე ხარისხოვანი „იარაღები“. ასეთია მაგ. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, საბჭოთა მოსამსახურეების [illegible] ეკონომიური მდგომარეობა და ცხოვრების სიძვირე. ისინი ლაპარაკობენ: ხედავთ, გლეხებო, [illegible], შენ [illegible]. [illegible] რომელიც [illegible] და [illegible] იმაში, რომ ცხოვრების თითქმის ყოველ დარგს შეეხებათ [illegible] და [illegible] ამ ბოლო ხანებში, [illegible] სულიერი სიმშვიდე ძლიერ [illegible], აღელვება და [illegible] ჩვეულებრივ მიმდინარეობის კალაპოტს. ახლა მათ იგონებენ [illegible] წრეში თავის ამოყოფა და შეეცადნენ [illegible] გახსნას, და „გახსნის“ კიდეც: ბათუმის ნავსადგურს თუ დატვირთული გემები აწყდება,—ამბობენ ისინი,—მხოლოდ და მხოლოდ ჟორდანია-რამიშვილის წყალობით, რომელთაც ეცოდებათ ქართველი ხალხი და სურთ იგი გადაარჩინოს არსებულ და მომავალ უბედურებას. ეს ისეთი გავრცელებული ჭორია სოფლად, რომ მის ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის ეპარება. გლეხს ეუბნებიან: ჟორდანია ევროპაშია, საქონელი ევროპიდან მოდის, მაშასადამე, მას ჟორდანია გზავნის—ასეთია მეჭორეთა სილოგისტიკა, დემაგოგიური აზრის ლოღიკური დასკვნა.

რევოლუციონურ მთავრობის უდიდესი მოვალეობაა, მთელი თავისი ყურადღება სოფელს მიაპყროს და ალაგმოს ხალხის [illegible]. არ კმარა მარტო საგანგებო კომისიების რეპრესიული ზომები, ეს უმეტესად პოლიტიკური ღონისძიებაა. საჭიროა სოფლის მასის გათვითცნობიერება, განვითარება, პოლიტიკური მომწიფება—ლექციების, მოხსენებების და მიტინგების საშუალებით. ხალხი თვითონ უნდა დარწმუნდეს საბჭოთა სისტემის სიდიადეში, თავისი საკუთარი გზით, მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ მუშურ გლეხური სახელმწიფოს ბევრი მტერი ჰყავს, რომელიც ბლომად მოიძებნება მათს წრეში.

აღსანიშნავია ერთი გარემოება. ამ ბოლო დროში მიტინგები თემებში იმართება „კომჯაჩეიკის“ თაოსნობით, სადაც სალაპარაკო თემას, რომელიმე დეკრეტის ხალხისთვის გაცნობა შეადგენს. ამ მიტინგებს, მენშევიკურ დროში არსებულ მეთოდთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს: მენშევიკები სცემდნენ და ატარებდნენ ცხოვრებაში კანონებს ხალხის დაუკითხავად და მის [illegible]. დღეს ბოლშევიკებიც სცემენ დეკრეტებს ხალხის დაუკითხავად, მაგრამ არ ასრულებენ მას ისე, რომ არ გააცნონ ხალხს შინაარსი და მიზანი ახალი კანონისა. მიტინგები უნდა იმართებოდეს არა თემებში, სადაც რამოდენიმე სოფელი იყრის თავს, არამედ სოფლებში. ეს უფრო შეეფერება უმაღლეს დემოკრატიის იდეას და საქმის ფაქტიურ ვითარებას, რადგან სათემო კრებას სოფლიდან 10—15 კაცი თუ ესწრება, ისიც არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ განწყობილი. გარდა ამისა მიტინგებზე, კრებებზე სიტყვის სრული თავისუფლება უნდა მიეცეს ყველას, რომელიც კი სდგას თანამედროვე რევოლუციის თვალსაზრისზე. პარტიული ქინით და პარტიული დიქტატურით არ შეიძლება საქმის გაკეთება, მასის გათვითცნობიერება, მით უმეტესად — სოციალისტურ სახელმწიფოს შენება.

ატმოსფერა სოფლად მოწამლულია, მოშხამულია, საჭიროა მისი გაწმენდა, ძლიერი დეზინფექცია“.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო—[illegible]. კუკიის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible].

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან [illegible] ნაშუადღევის 2 საათამდე.

პროფესიული განათლების მუშაკთა და კავშირის ყველა ბიუროებს.

— საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილება განათლების მუშაკთა კავშირისა წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებებს და ადგილობრივ კომიტეტებს, დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს 27 ოქტომბრისა მიაწოდოს სია მოსამსახურეებისა და მათი მისამართები.

დღეს, 25 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე (ოლღას ქ. № 29) შესდგება მე-4 რაიონის ყველა „იაჩეიკების“ მდივნების თათბირი.

ყველა მდივნების დასწრება სავალდებულოა, ვინც არ დაესწრება, მათ წინააღმდეგ სისრულეში იქნება მოყვანილი ცირკულიარი № 32.

მე-4 რაიკომის ბიურო.

ტირაჟი 10.000 [illegible] [illegible]